†

2015 წლის 21-22 ნოემბერს მიუნხენის მახლობლად შაიერნის წმიდა ჯვრის მონასტერში, ,,პროფესორთა ფორუმისა" და ,,საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის" ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ,,ქრისტიანობა და ევროპული ცივილიზაცია".

საერთაშორისო კონფერენციის - ,,ქრისტიანობა და ევროპული ცივილიზაცია" მონაწილეების მიმართვა

კონფერენციის მონაწილენი სრულიად ვეთანხმებით და ვადასტურებთ იმ დებულებას, რომ ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა, კვლავაც ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში.

გვინდა ასევე აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებაში ისტორიულად ჩნდებოდა სულიერებისაგან გაუცხოების ტენდენციები. ქრისტიანული აზრი მუდამ ამხილებდა ცდომილ შეხედულებებს, რითაც იცავდა საზოგადოების სულიერ სიწმინდეს. დღეს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით ძლიერდება სეკულარული ტენდენციები, თანამედროვე საზოგადოებაში სულიერების განმტკიცებისათვის აუცილებელია ქრისტიანული ფასეულობების განმარტება, აღიარება და გავრცელება. ამასთან გამორჩეულ ყურადრებას იმსახურებს ახალგაზრდა თაობასთან კავშირის გაღრმავება, რასაც ასევე განსაკუთრებულად უსვამს ხაზს საქართველოს პატრიარქი ილია II თავის შემოქმედებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საქმეში მეცნიერთა მონაწილეობა, რამეთუ სულიერებისაგან გაუცხოების პროცესი ბოლო საუკუნეებში დააგვირგვინა გონების გაკერპებამ, ანუ მეცნიერების საშუალებით ღვთის გარეშე თავისუფლების, კანონიერების და საყოველთაო კეთილდღეობის დამყარების რწმენამ.

ბოლო დროინდელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, ჩვენ მოწმენი ვართ უმძიმესი საკაცობრიო ტრაგედიებისა: ორი მსოფლიო ომი, ტოტალიტარული რეჟიმები, ტერორიზმი. თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის სიმშვიდის, სიყვარულისა და სიხარულის დეფიციტს, რაც თავის მხრივ იწვევს აგრესიას, ნიჰილიზმსა და დეპრესიას. მთავარი მიზეზი ამ კრიტიკული

ვითარებისა გახლავთ ის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პარალელურად არ მიმდინარეობს საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი სრულყოფა.

სახეზეა სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა შორის წონასწორობის დარღვევის ფაქტი. გვწამს, რომ ამ წონასწორობის აღდგენა ხელს შეუწყობს დედამიწაზე მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესის წინსვლასა და წარმატებას.

კონფერენციის მონაწილენი გამოვთქვამთ იმედს, რომ საზოგადოება გაიზიარებს გამოთქმულ მოსაზრებებს და გადადგამს რეალურ ნაბიჯებს სულიერი და ზნეობრივი კლიმატის გაუმჯობესებისათვის.